სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი

პროფესორი რუსუდან ბერიაშვილი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ემერიტუსი ბესარიონ კილასონია

ასოცირებული პროფესორი კახა მოსიძე

ასისტენტ-პროფესორი გელა მერაბიშვილი

სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი

სასამართლო მედიცინის დეპარტამენტის წინამორბედია სასამართლო მედიცინის კათედრა. სასამართლო მედიცინა 1920-დან 1941 წლამდე ისწავლებოდა პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის კათედრაზე, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ პროფესორი ბორის ღოღობერიძე (1921-1922 წლები) და შემდეგ - აკადემიკოსი ვლადიმერ ჟღენტი (1922-1941 წლები). 1941 წელს სასამართლო მედიცინის კათედრა გამოეყო პათოლოგიური ანატომიის კათედრას.

სასამართლო მედიცინის კათედრის გამგეები იყვნენ: დოცენტი გრიგოლ მათიაშვილი (1941-1958), პროფესორი ვახტანგ შანიძე (1958-1978), პროფესორი თეიმურაზ გორდელაძე (1979-1998), პროფესორი ბესარიონ კილასონია (1998-2021).

სასამართლო მედიცინის კათედრაზე შესწავლილია სასამართლო თანატოლოგიის მნიშვნელოვანი, კერძოდ, უეცარი სიკვდილის აქტუალური საკითხები, სიკვდილის ხანდაზმულობის ვადები, ორგანიზმში ელექტროტრავმით გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილებები, პიროვნების იდენტიფიცირების, ასაკის დადგენის, საყოფაცხოვრებო, საწარმოო და სატრანსპორტო ტრავმატიზმთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, დამუშავებულია სასამართლო სამედიცინო ტოქსიკოლოგიის, კერძოდ, შხამ-ქიმიკატებით მოწამვლის თავისებურებანი, სქესობრივი დანაშაულის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის, სასამართლო- სამედიცინო გინეკოლოგიური ექსპერტიზისა და დედათა სიკვდილის სასამართლო- სამედიცინო ექსპერტიზის პრობლემები.

სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი არის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების გაეროს სახელმძღვანელოს - სტამბოლის პროტოკოლის დანერგვის პროექტის საქართველოში განმახორციელებელი და წამების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური პარტნიორი
საქართველოში.

სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი მუშაობს შემდეგ სამეცნიერო თემატიკაზე: „ძვლის სიცოცხლისდროინდელი და სიკვდილის შემდგომ მოტეხილობათა მორფოლოგიური თავისებურებანი“ და „ელექტრული დენით დაზიანების ექსპერტიზა“.

2011 წელს გამოიცა სახელმძღვანელო “სასამართლო მედიცინა” (ავტორი პროფ.ბესარიონ კილასონია), რომლის მეორე გამოცემა დაიბეჭდა 2020 წელს.

სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი

სასამართლო მედიცინის დეპარტამენტი მუშაობს შემდეგ სამეცნიერო თემატიკაზე: „ძვლის სიცოცხლისდროინდელი და სიკვდილის შემდგომ მოტეხილობათა მორფოლოგიური თავისებურებანი“ და „ელექტრული დენით დაზიანების ექსპერტიზა“.
2011 წელს გამოიცა სახელმძღვანელო “სასამართლო მედიცინა” (ავტორი პროფ.ბესარიონ კილასონია), რომლის მეორე გამოცემა დაიბეჭდა 2020 წელს.

პედაგოგიური პერსონალი: დეპარტამენტის ხელმძღვანელი პროფესორი რუსუდან ბერიაშვილი, ასოცირებული პროფესორი კახა მოსიძე, ასისტენტ-პროფესორი გელა მერაბიშვილი; მასწავლებლები - ემერიტუსი ბესარიონ კილასონია, ზურაბ ვენეცკი, ირაკლი თოიძე, თეიმურაზ ხელაძე, დავით გრიგოლია, მერი გონაშვილი, ლაბორანტი - ნინო კანტროშვილი.